მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<u>თავმჯდომარე:</u>

ნინო ფეტვიაშვილი, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

<u>წევრი</u>:

შორენა ჯაფარიძე, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: შპს

საიდენტიფიკაციო კოდი: 406129602

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

II. მონიტორინგის სახე:

☐ გეგმიური

■ არაგეგმიური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	შესაბამისი საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ბუღალტერი	მარნეული - 35 სტუდენტი ქუთაისი - 20 სტუდენტი	მარნეული- 7 სტუდენტი ქუთაისი - 4 სტუდენტი	0
ოფისმენეჯერი (მდივან-რეფერენტი)	მარნეული - 58 სტუდენტი ქუთაისი - 30 სტუდენტი	მარნეული- 27 სტუდენტი ქუთაისი - 13 სტუდენტი	4
ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგი	მარნეული - 35 სტუდენტი	მარნეული- 24 სტუდენტი	2
ინფორმაციული ტექნოლოგი	მარნეული - 50 სტუდენტი ქუთაისი - 20 სტუდენტი	მარნეული- 22 სტუდენტი ქუთაისი - 13 სტუდენტი	0
კბილის ტექნიკოსი	ქუთაისი - 20 სტუდენტი	მარნეული- 0 სტუდენტი ქუთაისი - 9 სტუდენტი	0
ფარმაცევტის თანაშემწე	მარნეული - 26 სტუდენტი **ქუთაისი - 15 სტუდენტი**	მარნეული- 0 სტუდენტი **ქუთაისი - 18 სტუდენტი**	0
პრაქტიკოსი ექთანი	მარნეული - 20 სტუდენტი ქუთაისი - 40 სტუდენტი	მარნეული- 0 სტუდენტი ქუთაისი - 36 სტუდენტი	0
მასაჟისტი	ქუთაისი - 20 სტუდენტი	ქუთაისი - 11 სტუდენტი	0

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

ექთნის თანაშემწე	მარნეული - 20 სტუდენტი ქუთაისი - 40 სტუდენტი	0	0
კორესპონდენტი	ქუთაისი - 15 სტუდენტი	0	0
ღონისძიებათა მომწყობი	ქუთაისი - 10 სტუდენტი	0	0
სასტუმრო საქმის მწარმოებელი	ქუთაისი - 10 სტუდენტი	0	0
სარესტორნო საქმის მწარმოებელი	ქუთაისი - 10 სტუდენტი	0	0
სულ		184 სტუდენტი	6 სტუდენტი

ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

სტანდარტი		**ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი**	**სტანდარტი დაკმაყოფილებულია**	**სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული**
1. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები		**მუხლი 6**	☐	☐
1.1	დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, მეთოდოლოგია და შესაბამისი კვალიფიკაცია. პროგრამა შედგენილია პროფესიული განათლების კრედიტების სისტემის შესაბამისად, აქვს თანმიმდევრული სტრუქტურა, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სისტემა, შესაბამისი სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები). პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, დაწესებულების უფლებამოსილი ორგანოს მიერ დამტკიცებულ თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია მისანიჭებელი კვალიფიკაცია, მიზნები, მოცულობა,	**მუხლი 6 / პუნქტი ა)**	☐	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

{თბილისი, 2019 წელი}

	სწავლის შედეგები და სწავლებისა და პროფესიულ სტუდენტთა შეფასების მეთოდოლოგია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.			
1.2	დაწესებულებაში არსებობს საგანმანათლებლო პროგრამების აღწერილობა (კატალოგი), სადაც მოცემულია ინფორმაცია დაწესებულების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, სწავლის შედეგების, კრედიტებისა და შეფასების წესის შესახებ;	**მუხლი 6 / პუნქტი ბ)**	☐	☐
1.3	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და კონკრეტულ პროფესიულ სტანდარტებს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს.	**მუხლი 6 / პუნქტი გ)**	☐	☐
1.4	დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები	**მუხლი 6 / პუნქტი დ)**	☐	■
1.5	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები	**მუხლი 6 / პუნქტი ე)**	■	☐
1.6	დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად	**მუხლი 6 / პუნქტი ვ)**	☐	☐
2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი		**მუხლი 7**	☐	☐
2.1	დაწესებულების საკუთრებაში ან მფლობელობაში აქვს მატერიალური რესურსი, რომელიც გამოიყენება დაწესებულების მიზნების რეალიზაციისათვის და შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის:	**მუხლი 7 / პუნქტი ა)**	☐	☐
2.1.1	ერთ მისამართზე 400 კვ. მ შენობა-ნაგებობათა საერთო ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის შესაბამისი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს 100 პროფესიულ სტუდენტზე ნაკლებ კონტინგენტიანი დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ა)**	☐	☐
2.1.2	სათანადო ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო ფართი;	**მუხლი 7 / პუნქტი ა.ბ)**	☐	☐
2.2	დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა,	**მუხლი 7 / პუნქტი ბ)**	☐	☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

{თბილისი, 2019 წელი}

	სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები;			
2.3	დაწესებულების ბიბლიოთეკის ფონდი (როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონულ მატარებლებზე არსებული) შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების პროგრამებში (სილაბუსებში) მითითებულ ლიტერატურას;	**მუხლი 7 / პუნქტი გ)**		
2.4	საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები გამოიყენება საგანმანათლებლო საქმიანობაში, ასევე დაწესებულების მართვაში;	**მუხლი 7 / პუნქტი დ)**		
2.5	დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა;	**მუხლი 7 / პუნქტი ე)**		
2.6	დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:	**მუხლი 7 / პუნქტი ვ)**		
2.6.1	ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ა)**		
2.6.2	თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.ბ)**		
2.6.3	სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.გ)**		
2.6.4	წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.	**მუხლი 7 / პუნქტი ვ.დ)**		
2.7	დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე პროფესიული სტუდენტებისათვის;	**მუხლი 7 / პუნქტი ზ)**		
2.8	ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მასზე განთავსებულია საკონტაქტო და ასევე სტანდარტებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (დაწესებულების სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამები, პერსონალი და სხვ.). ინფორმაციის განახლება ხდება რეგულარულად, ისე, რომ დაცული იყოს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესი;	**მუხლი 7 / პუნქტი თ)**		
2.9	შემუშავებულია დაწესებულების განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს.	**მუხლი 7 / პუნქტი ი)**		
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი		**მუხლი 8**		
3.1	დაწესებულების პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობებს;	**მუხლი 8 / პუნქტი ა)**		
3.2	საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება შესაბამისი	**მუხლი 8 /**		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

_____

_____

{თბილისი, 2019 წელი}

	კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დაწესებულებას ჰყავს 20 პროფესიულ სტუდენტზე პროგრამის განმახორციელებელი მინიმუმ ერთი პირი;	**პუნქტი ბ)**		
3.3	პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შერჩევა ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. შრომითი ხელშეკრულებები/დანიშვნის აქტები/მომსახურების ხელშეკრულებები გაფორმებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.	**მუხლი 8 / პუნქტი გ)**	☐	☐

საერთო მიმოხილვა

სსიპ-საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ მონიტორინგის ვიზიტის განხორციელების საფუძველია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 5 თებერვლის N108 ბრძანება, რომლის თანახმად, ექსპერტთა ჯგუფს დაევალა დაწესებულების მიერ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „დ“ და „ე“ პუნქტებითა და მე-7 მუხლის „ე“ პუნქტით გათვალისწინებული სტანდარტების შესრულების შემოწმება (არაგეგმიური მონიტორინგი).
ვიზიტი განხორციელდა 2019 წლის 7 და 8 თებერვალს.

ვიზიტი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად (იხ. დანართი N1 - დღის წესრიგი 2 ფურცლად). ვიზიტის პირველი დღე განხორციელდა ქ. ქუთაისში (სათაო ოფისში), სადაც ინახება კოლეჯის დოკუმენტაცია. შემოწმდა დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები, პროფესიულ სტუდენტებთან დაკავშირებული რეგულაციების, საქმისწამოებისა და მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვის მარეგულირებელი დოკუმენტაციის გამოყენების პრაქტიკა. მონიტორინგის ვიზიტის მეორე დღეს ექსპერტთა ჯგუფი ჩავიდა ქ. მარნეულში, სადაც გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტთა რეესტრი, დასწრების ჟურნალები, უწყისები, მოხდა კოლეჯის პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან და მათ მშობლებთან გასაუბრება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

ვიზიტის პერიოდში დაწესებულების წარმომადგენლებმა ითანამშრომლეს ექსპერტთა ჯგუფის წევრებთან, *თუმცა საჭირო დოკუმენტაციის დროულად მოწოდება და სტუდენტებთან გასაუბრება სათანადოდ არ იყო ორგანიზებული.*

საკითხის არსი

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტი“ წარმოადგენს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში (გრიშაშვილის ქ. N7). კოლეჯს ქ. მარნეულში აქვს თავისი წარმომადგენლობა, რომელიც დაფუძნდა 2016 წელს შემდეგ მისამართზე ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N15, *(2018 წლის 13 დეკემბრის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება N204 შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტის ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 19.08. N7 გადაწყვეტილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ).*

2018 წლის 11 სექტემბერს კოლეჯი დაგავიდა ახალ მისამართზე (მარნეული, რუსთაველის ქუჩა 12), რაზეც დროულად ეცნობა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს, განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი და, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს N 204 (13/12/2018) გადაწყვეტილებით, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტს“ მიენიჭა ახალ ფართზე სასწავლო პროცესის განხორციელების უფლება. ამავე გადაწყვეტილებით განისაზღვრა შპს საზოგადოებრივი კოლეჯ „ელიტის“ პროფესიულ სტუდენტთ ზღვრული რაოდენობა - 488 სტუდენტით.

კოლეჯის დირექტორის განმარტებით, მისამართის შეცვლა განპირობებული იყო გარკვეული უთანხმოებით კოლეჯის დირექტორსა და კოლეჯის მართვაში ჩართულ პირებს შორის, რომლებიც ძირითადად ადგილობრივ მოსახლეობას წარმოადგენენ.

ვიზიტის დროს დადგინდა, რომ ძველ მისამართზე დარჩა კოლეჯის პერსონალის ნაწილი, მათ შორის მართვაში ჩართული ზემოაღნიშნული პირები, და ამჟამად იქ არაავტორიზებულ რეჟიმში ფუნქციონირებს ე.წ. „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი“. შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ პროფესიული სტუდენტების დიდი ნაწილი დარჩა ძველ მისამართზე, ვინაიდან, პროფესიული სტუდენტებისა და მათი მშობლების განმარტებით, ისინი პირადად იცნობდნენ მართვაში ჩართულ ზემოაღნიშნულ პირებს, და არ ფლობდნენ ინფორმაციას, რომ ძველ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

მისამართზე დარჩენილი კოლეჯი არ არის ავტორიზებული, მეტიც, საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ რა განსხვავებაა ავტორიზებულ და არაავტორიზებულ კოლეჯებს შორის, რაც გამოვლინდა ექსპერტების მიერ მშობლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრების შედეგადაც.

ძველ მისამართზე დარჩენილი სტუდენტები სწავლობენ საგნობრივ პროგრამებზე: ბუღალტერი, ინფორმაციული ტექნოლოგი, ოფის მენეჯერი. მათ სწავლა დაიწყეს კოლეჯ „ელიტში“ 2017 წლის შემოდგომაზე და 2018 წლის სექტემბრისთვის გავლილი ჰქონდათ პროგრამების დიდი ნაწილი (ნახევარზე მეტი). *<u>სტუდენტებთან და მათ მშობლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ძველ მისამართზე კოლეჯის ე.წ. „გაყოფის“ შემდეგ სტუდენტებს უტარდებოდათ მხოლოდ ინგლისური და ქართული ენების კურსები.</u>*

2018 წლის ოქტომბერში ძველ მისამართზე დარჩენილმა სტუდენტებმა, რომლებიც ოფიციალურად ირიცხებოდნენ კოლეჯ „ელიტში“, მიმართეს კოლეჯს განცხადებებით სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის და მათ მიერ დაგროვილი კრედიტების ცნობის გაცემის თაობაზე, კოლეჯის წარმომადგენლის განმარტებით, მან აუხსნა სტუდენტებს სტატუსის შეწყვეტით გამოწვეული შედეგები, ამიტომ <u>განცხადებები არ იყო დარეგისტრირებული შესაბამისი წესით.</u> პროფესიული სტუდენტების და მათი მშობლების დიდი ნაწილი, რომლებთანაც ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ ინტერვიუირება განხორციელდა, საკმაოდ ცუდად ფლობენ ქართულ ენას. ინტერვიუ მიმდინარეობდა ძირითადად რუსულად, ხოლო ქართულს ფლობდა მხოლოდ 2-3 სტუდენტი. <u>აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯში სწავლების ენა ქართულია.</u>

2018 წლის 12 ნოემბერს კოლეჯ „ელიტის“ დირექტორმა გაუგზავნა წერილები ძველ მისამართზე დარჩენილ პროფესიულ სტუდენტებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზე, სადაც განუმარტა, რომ სტატუსის შეწყვეტის შემდეგ მათი კრედიტები განულდებოდა. კერძოდ, წერილში ვკითხულობთ *„...გვინდა გაგაფრთხილოთ, რომ თუკი უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში თქვენ არ გამოცხადდებით საზოგადოებრივ კოლეჯ ელიტში (ქ.მარნეული, რუსთაველის N12-ში) და არ ჩაერთვებით სასწავლო პროცესში, <u>იძულებულები გავხდებით მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნის დაცვით **შეგიწყვიტოთ სტუდენტის სტატუსი** და ამის შესახებ შევატყობინოთ საქართველოს განათლებისა, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, რაც ნიშნავს იმას, რომ მთელი ის პერიოდი რაც თქვენ ჩვენთან ისწავლეთ **იქნება გაუქმებული** და ვერცერთი*</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

<u>საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ფუნქციონირებს ავტორიზებულ რეჟიმში ვერ შეძლებს მიგიღოთ და გაგაგრძელებინოთ სწავლა</u>. ჩვენ გვესმის, რომ ეს თქვენთვის სერიოზული პრობლემა იქნება, რადგან პრაქტიკულად სრულად გაქვთ დაფარული სწავლის საფასური, ავტორიზებული სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომის მიღებამდე სულ რამდენიმე თვე გაშორებდათ, თუმცა ჩვენც არ გვაქვს სხვა გზა....“

2018 წლის დეკემბერში პროფესიულ სტუდენტებმა მიმართეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს განცხადებით, რომელსაც 15 სტუდენტი აწერს ხელს. განცხადებაში წერია, რომ კოლეჯის დირექტორი - ციტირება- *„ გაუგებარი მიზეზის გამო გვეუბნება უარს. უფრო მეტიც გამოგვიგზავნა წერილი. <u>რომლითაც გვემუქრება, რომ თუ არ გავაგრძელებთ სწავლას ჩვენს მიერ შესწავლილი საგნები და სწავლის შედეგები იქნება გაუქმებული.....</u> კოლეჯი „ელიტი“ ცდილობს <u>გაგვიწელოს დრო, რაც აბრკოლებს ჩვენს მობილობას</u> და სწავლის განახლებას...“.* პარალელურად დეკემბრის თვეში სტუდენტებმა ისევ მიმართეს განცხადებით კოლჯ „ელიტს“, სადაც წერია, რომ მათ სურდათ, მობილობით გადასულიყვნენ შპს - წმიდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივი კოლეჯში, სადაც ხორციელდებოდა იგივე მიმართულების საგნობრივი პროგრამები. კერძოდ, წერილებში ვკითხულობთ *„... გაცნობებთ, რომ ვახორციელებ მობილობას კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით შპს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯში. გთხოვთ, <u>ჩემი პირადი დოკუმენტაცია და ჩემს მიერ შესწავლილი საგნების და დაგროვებული კრედიტების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტაცია გადააგზავნოთ შპს წმინდა ილია მართლის სახელობის თბილისის საზოგადოებრივ კოლეჯში.“</u>*

<u>**ამ განცხადებათა უმრავლესობა (17 განცხადება)** შემოტანილია **2018 წლის 19 დეკემბერს, თუმცა არის 20, 21, 22 დეკემბერს (7 განცხადება) და 26 დეკემბერს შემოტანილი განცხადებებიც (1 განცხადება).** აღნიშნული განცხადებები დარეგისტრირებულ იქნა კოლეჯში დადგენილი საქმისწარმოების წესების შესაბამისად **(იხ.დანართი N2 – 6 ფურცლად).**</u> საქმისწარმოების დაწყების დამადასტურებელი ფაქტები დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა, და, შესაბამისად, მოთხოვნილი დოკუმენტები სტუდენტებს არ მიუღიათ. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ის მოქმედებდა სტუდენტთა ინტერესებიდან გამომდინარე. თუმცა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრისთვის მიწერილ წერილის ბოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

აბზაცში, რომელიც დათარიღებულია **<u>2019 წლის 16 იანვრით</u>**, ვკითხულობთ, რომ „... *პროფესიული სტუდენტის პირადი საქმეების შესწავლა მათ მიერ დაგროვილი კრედიტებისა და გავლილი დისციპლინების შესახებ დეტალური ინფორმაციის ჩამოყალიბება, <u>მითუმეტეს, შუა სასწავლო პროცესში</u> <u>**გარკვეულ დროს მოითხოვს.**</u> გასათვალისწინებელია ის ფაქტორიც, რომ მათი პირადი საქმეების ორიგინალი ინახება ქ.ქუთაისში, შესაბამისად მათთვის სასურველი მასალების მიწოდებამდე გარკვეული პროცესია გასავლელი, <u>რაც გონივრულ ვადებს</u> მოითხოვს, მითუმეტეს, რომ განცხადების დაწერიდან დღემდე <u>პერიოდის დიდი ნაწილი იყო არასამუშაო, არა მხოლოდ ჩვენი კოლეჯისთვის, არამედ მთელი საქართველოსთვის.</u> ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გაუგებარია, თუ რა მოიაზრება ხელოვნურად ვადის გაწელვაში, მაშინ როცა ზოგიერთი პროფესიული სტუდენტის მიერ წერილის დაწერიდან ორი კვირაც არ არის გასული.“*

ვიზიტის დროს სტუდენტებმა ექსპერტებთან ინტერვიუირებისას დააფიქსირეს, რომ 2018 წლის დეკემბერში მათ დაუკავშირდათ „ელიტის“ წარმომადგენელი, რომელიც ფლობს აზერბაიჯანულ ენას, და შეატყობინა, რომ უნდა გადაიხადონ ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ წარმომადგენელი (რომელიც ამჟამად „ელიტის“ თანამშრომელია, ხოლო დეკემბერში სტაჟიორის სტატუსი ჰქონდა) ადასტურებს, რომ მან ნამდვილად დაურეკა სტუდენტებს კოლეჯის დირექციის წარმომადგენლის დავალებით, თუმცა საუბარი იყო არა ჯარიმაზე, არამედ სწავლის საფასურის დარჩენილი თანხის დაგახდაზე. აქედან გამომდინარე, ინტერვიუირების დროს სტუდენტებმა და მათ მშობლებმა *დაწესებულების წარმომადგენლებისგან მოითხოვეს ცნობა, სადაც მითითებული იქნება გადახდილი თანხისა და დარჩენილი დავალიანების ოდენობა,* რათა არ მოხდეს რაიმე გაუგებრობა მომავალში. ამ მოთხოვნის შესრულებას კოლეჯის დირექტორი დაპირდა ვიზიტის დასრულების შემდეგ, 9 თებერვალს 14.00 საათისთვის.

<u>მონიტორინგის ვიზიტის დროს გამოვლენილი გარემოებანი და ხარვეზები</u>

1.4 დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ვიზიტის დროს ექსპერტებმა შეისწავლეს დოკუმენტაცია, რომელიც არეგულირებს პროფესიული სტუდენტების სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარებას, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები; საქმისწარმოების მექანიზმები, თუმცა ვიზიტის დროს დაზუსტდა და გამოიკვეთა შემდეგი გარემოებანი:

1. სასწავლო პროცესი შპს საზოგადოებრივ კოლეჯ „ელიტში“ მარნეულის წარმომადგენლობაში განისაზღვრა 31.08.2018 წლის დირექტორის ბრძანების შესაბამისად (დანართი N3 - 2 ფურცლად) **ინფორმაციული ტექნოლოგიის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე** დაიწყო 2018 წლის **29 ოქტომბერიდან 22 დეკემბრის** ჩათვლით (სასწავლო პრაქტიკა);

ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე - 2018 წლის **5 მარტიდან 2019 წლის 8 თებერვლის ჩათვლით** (საზაფხულო არდადეგები - 23 ივლისიდან -28 ოქტომბრამდე, ხოლო ზამთრის - 30 დეკემბრიდან - 7 იანვრის ჩათვლით).

ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაზე - საწარმოო პრაქტიკა - **29 ოქტომბრიდან 2019 წლის 9 თებერვლის ჩათვლით.** ზამთრის არდადეგები - 30 დეკემბრიდან 7 იანვრის ჩათვლით.

2. *აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, ასევე მიღებული განათლების აღიარების წესები, რაც გაწერილი აქვს „პროფესიული სტუდენტის დებულებაში“. დებულების* ***32. მუხლი განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შედეგებს.*** *ამ მუხლის* ***32.3 პუნქტში*** *ვკითხულობთ "პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემდეგ, პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული სტუდენტის* ***შეწყვეტამდე დაგროვილი კრედიტები და მიღწეული სწავლის შედეგები ანულირდება.“***

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

უნდა აღინიშნოს, რომ გაუგებარია, კონკრეტულად, რა იგულისხმება კოლეჯის დირექტორის წერილში მითითებული „აკადემიურ მოუსწრებლობაში“, აგრეთვე არ არის განსაზღვრული ე.წ. „გონივრული ვადა“ რა პერიოდს მოიცავს.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა ვებგვერდზე განთავსებული ნორმატიული დოკუმენტებიც, მათ შორის პროფესიული სტუდენტის დებულება, რომელშიც მუხლი 32-ის 32.3 პუნქტი <u>საერთოდ არ არსებობს.</u> კოლეჯის დირექტორის განმარტებით პროფესიული სტუდენტის დებულებაში 2017 წლის სექტემბერში შევიდა ცვლილება, რომლის განთავსება გაურკვეველი მიზეზით არ მოხდა ვებგვერდზე (დანართი N 4 – 22 ფურცლად). აქედან გამომდინარე, ინფორმაცია კრედიტების „განულების“ შესახებ, სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი არ გახდა, რაც სასწავლო პროცესის გამჭვირვალობას, სტუდენტთა ინტერესების და „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონის ჩანაწერს „<u>პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მობილობის ხელშეწყობა</u> (მუხლი 2, პუნქტი ლ) <u>ეწინააღმდეგება.</u>

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტის დებულებით *(დანართი N 4 – 22 ფურცლად);*
- ინტერვიუირებით სტუდენტებთან, მშობლებთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან;

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

<u>ქვესტანდარტი დარღვეულია</u>

1.5 დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

შპს საზოგადოებრივ კოლეჯს „ელიტს“ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს (2017 წლის 08.09.) ბრძანებით N68 შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ელიტის პროფესიული სტუდენტის დებულება, სადაც IX თავის მუხლი 23.-ში გაწერილია პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან/და გაუქმების შემთხვევაში შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. მაგალითად., 23.2 ვკითხულობთ, რომ დაწესებულება „ საჭიროების შემთხვევაში, იღებს გადაწყვეტილებას პროფესიული სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლებაზე“. 23.4 – „ ინდივიდუალური გეგმით სწავლებისას პროფესიული სტუდენტი განთავისუფლებულია სწავლის დამატებითი გადასახადისაგან.“ და სხვ.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- პროფესიული სტუდენტის დებულებით *(დანართი N 4 – 22 ფურცლად);*
- ინტერვიუირებით;

შეფასება:

<u>**■ ქვესტანდარტი არ არის დარღვეული**</u>

☐ ქვესტანდარტი დარღვეულია

2.5 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა

ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

კოლეჯ „ელიტის“ დირექტორის მიერ წარმოდგენილი სტუდენტთა რეესტრის მონაცემებით კოლეჯის 224 სტუდენტიდან მარნეულის წარმომადგენლობაში <u>80 პროფესიული სტუდენტი</u> ირიცხება. 224 სტუდენტიდან რეესტრის მონაცემით 45-ს აქვს სტატუსი შეწყვეტილი, 6 სტუდენტს შეჩერებული, მათ შორის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებად დაფიქსირებულია 184.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი რეესტრის მონაცემებით ფარმაცევტის თანაშემწის პროფესიულ პროგრამაზე საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა გადაჭარბებულია 3 სტუდენტით. (იხ. ცხრილი და დანართი N 5 – 14 ფურცლად).

კოლეჯ „ელიტის“ მარნეულის წარმომადგენლობაში ახალ მისამართზე სარეგისტრაციო ჟურნალის მიხედვით 30-მდე პროფესიული სტუდენტი განაგრძობს სწავლას. ეს მონაცემები დაფიქსირებულია სარეგისტრაციო ჟურნალში, სადაც სტუდენტები თავისი ხელმოწერით ადასტურებენ მეცადინეობაზე დასწრებას. თუმცა დასწრების ჟურნალი ყველა პროფესიული პროგრამისთვის <u>საერთოა, გაუგებარია ვინ რომელ პროგრამაზე სწავლობს და რომელ ლექციას ან მოდულს ესწრება.</u> ჟურნალისა და სტუდენტთა რეესტრის შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ <u>დასწრების ჟურნალში გაერთიანებულია, როგორც „ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგის“ პროგრამის, ასევე ოფის-მენეჯერის საგნობრივი პროგრამის სტუდენტების დასწრების აღრიცხვა</u>. (იხ. დანართი N6 - 3 ფურცლად)

სტუდენტების ნაწილი, რომელსაც სურდათ მობილობით სხვა კოლეჯში გადასვლა, მიუხედავად აქტიური სტუდენტის სტატუსისა, „ელიტში“ არ დადიან, ისინი განაგრძობენ სიარულს ძველ მისამართზე მდებარე, დღეისათვის არაავტორიზებულ სასწავლებელში სახელწოდებით- „მარნეულის საზოგადოებრივი კოლეჯი“, სადაც, მათი განმარტებით, უტარდებათ მეცადინეობები ძირითადად ქართულ და ინგლისურ ენებში. სტუდენტებს დაფარული აქვთ სწავლების საფასურის ძირითადი ნაწილი, რასაც ადასტურებს „წერილით“ კოლეჯის დირექტორიც.

<u>უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტების განცხადებები მობილობის შესახებ დევს მათ პირად საქმეებში, და როგორც ზევით აღვნიშნეთ, დათარიღებულია 19, 20-22 და 26 დეკემბრით. კოლეჯში</u> <u>საქმისწარმოება მობილობის შესახებ არ დაწყებულა.</u> შპს საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ დირექტორის <u>განმარტებით, ის აპირებდა საქმისწარმოების დაწყებას, რაც დაემთხვა არდადეგების პერიოდს. თუმცა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ბრძანებიდან გამომდინარე, სტუდენტთა მიერ საბუთების გატანის მოთხოვნა მოხდა სასწავლო პროცესის პერიოდში</u> (არდადეგები 30 დეკემბრიდან 7 იანვრამდეა ამ ბრძანებით), <u>რაც დაწესებულების არგუმენტს არასამუშაო პერიოდთან დაკავშირებით „მთელი საქართველოს მასშტაბით“ არადამაჯერებელს ხდის.</u> *აქვე უნდა აღინიშნოს, რომ* „პროფესიული განათლების შესახებ“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

ახალი კანონით დადგენილია, რომ *„მხოლოდ პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში* ***კოლეჯი უფლებამოსილია ამ პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიულ სტუდენტებს სწავლა დაასრულებინოს და მიანიჭოს აღნიშნული პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია.*** *კოლეჯი უფლებამოსილი არ არის, ჩარიცხოს ახალი პროფესიული სტუდენტები ამ პროგრამაზე 2019 წლის 1 იანვრიდან"* (თავი XII. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები, მუხლი 39. გარდამავალი დებულებები, პუნქტი ა).

თუ „ახალ პროფესიულ სტუდენტებში" მოვიაზრებთ მობილობით გადასულ სტუდენტებსაც, 2019 წლის 1 იანვრიდან ძველ მისამართზე დარჩენილი პროფესიული სტუდენტები ვერ შეძლებდნენ მობილობით სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლას.

ექსპერტთა მოსაზრებით, დაწესებულებამ დროულად არ შეუწყო ხელი პროფესიულ სტუდენტთა მობილობას, მაშინ როდესაც „პროფესიული განათლების შესახებ" ახალი კანონის შესაბამისად: <u>პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის ერთერთ მიზანს წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისა და პროფესიული განათლების მასწავლებლის მობილობის ხელშეწყობა</u> : (მუხლი 2, პუნქტი ლ).ჯ

<u>კანონში პროფესიული განათლების შესახებ დადგენილია მობილობის განმარტება:</u> *"პროფესიული სტუდენტის მობილობა – პროფესიული სტუდენტის თავისუფალი გადაადგილება სწავლის პროცესში მონაწილეობის მისაღებად, როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში, რასაც თან სდევს სწავლის პერიოდში მიღებული განათლების, კრედიტების ან კვალიფიკაციის აღიარება;(მუხლი 3. ტერმინთა განმარტება, პუნქტი ფ)).*

<u>უნდა აღინიშნოს, რომ სტუდენტთა შეფასებები დასტურდება კოლეჯის დირექტორის მიერ წარმოდგენილი უწყისებით</u> (დანართი N 7 – 30 ფურცლად).

რაც შეეხება დაწესებულებაში მიმდინარე გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვას, უნდა აღინიშნოს, რომ კოლეჯი სარგებლობს საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ელექტრონული ფორმატით. კოლეჯს შემუშავებული აქვს „საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქცია" (დანართი N 8 – 17 ფურცლად). კოლეჯს <u>*სტუდენტებთან ან მათ მშობელთან/მეურვესთან დადებული აქვს ხელშეკრულება, თუმცა ამ ხელშეკრულების ასლები სტუდენტებსა და მათ მშობლებს არ აღმოაჩნდათ.*</u>

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ამონაწერით vet.ge - დან სტუდენტთა რეესტრით - *დანართი 5 – 14 ფურცლად;*
- სტუდენტთა დასწრების ჟურნალით - *დანართი 6 – 3 ფურცლად;*
- დასწრების უწყისებით - *დანართი 7 – 30 ფურცლად;*
- საზოგადოებრივი კოლეჯი „ელიტის“ საქმისწარმოებისა და დოკუმენტბრუნვის ინსტრუქციით - *დანართი N 8 – 17 ფურცლად;*
- ინტერვიუირებით სტუდენტებთან, მშობლებთან, დაწესებულების წარმომადგენლებთან;

შეფასება:

☐ქვესტანდარტი არ არის დარღვეული

<u>ქვესტანდარტი დარღვეულია</u>

X. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი - 2 ფურცლად;
დანართი 2. – 6 ფურცლად
დანართი 3. – 2 ფურცლად
დანართი 4. – 22 ფურცლად
დანართი 5. – 14 ფურცლად
დანართი 6. – 3 ფურცლად
დანართი 7. – 30 ფურცლად
დანართი 8. – 17 ფურცლად
სულ - 96 ფურცლად.

12.03.2019
თბილისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

{თბილისი, 2019 წელი}